ხაშურის მოამბე

№46 (247) 26 ნოემბერი, სამშაბათი, 2019 წელი

შიდა ქართლის ადმინისტრაციაში US-AID -ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის შესახებ იმსჯელეს

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი და რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის წარმომადგენლებს შეხვდნენ. პროგრამის ხელმძღვანელმა მარკ მაკკორდმა პროექტის შესახებ ვრცლად ისაუბრა, ხაზი გაუსვა პროგრამის მიზნებსა და მნიშვნელობას. როგორც საუბარში აღნიშნა, პროგრამის მიზანია დააჩქაროს იმ სექტორების ზრდა, რომლებსაც გააჩნიათ სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლების ზრდის და მიკრო, მაკრო და საშუალო საწარმოების მოგების გაზრდის პოტენციალი. პროგრამა მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის სექტორის, ეკონომიკური აქტივობების გაფართოებას ტურიზმსა და სხვა სექტორებში.

შეხვედრაზე მხარეებმა შიდა ქართლის რეგიონის ჭრილში იმსჯელეს იმ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებზე, რასაც აღნიშნული პროგრამა იძლევა. გიორგი ხოჯევანიშვილის თქმით, სამხარეო ადმინისტრაცია მზადაა აქტიურად ითანამშრომლოს და ხელი შეუწყოს პროექტის წარმატებულ განხორციელებას.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა, ყოველი ახალი პროექტი რეგიონისთვის კარგი გამოცდილების მომტანია, მით უფრო, როცა პროექტები თავის მხრივ გულისხმობს რეგიონის ფინანსურ და ეკონომიკურ გაძლიერებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და კვალიფიკაციის გაუმჯობესებას. ვიმედოვნებ, ჩვენი თანამშრომლობა წარმატებული იქნება.“ - აღნიშნა რწმუნებულმა.

პროექტის განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმება. მომდევნო 5 წლის განმავლობაში პროგრამა ხელს შეუწყობს სულ მცირე, 4000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას და 600 დიდი, მცირე და საშუალო საწარმოს გაძლიერებას. ასევე, მხარდაჭერილი საწარმოების გაყიდვების 50 მილიონი აშშ დოლარით გაზრდას და 15 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის მოზიდვას შექმნილი თანამშრომლობის ფარგლებში.

პროგრამა მოიცავს 4 კომპონენტს - სამიზნე სექტორებში თანამშრომლობის გაძლიერებას; მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ეფექტურობის რეალიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობასა და მათ მიერ ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შექმნის მხარდაჭერას; სექტორების მოთხოვნის შესაბამისი ძალის განვითარებასა და საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეწყობას

ხაშურელი ფერმერები - ყოველწლიურ გამოფენაზე

21 ნოემბერს, ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, ადგილობრივი ფერმერები და მეწარმეები „ექსპო ჯორჯიაში“ გამართულ ყოველწლიურ გამოფენაზე იმყოფებოდნენ, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც ქართული, ასევე ბელორუსიის მრეწველობისა და ტექნიკური სიახლეების ნიმუშები. გამოფენაზე შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ მიღწევებს, რომლებიც მათ სამუშაო პროცესს გაუადვილებს. მონაწილეები ასევე დაესწრენ თიბისი ბანკის მიერ ორგანიზებულ ბიზნესფორუმს, რომელსაც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეც ესწრებოდა. დაინტერესებულ პირებს, გააცნეს ის შესაძლებლობები და პროგრამები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს დამწყებ და უკვე მოქმედ მეწარმეებს, მიიღონ გამარტივებული აგრო სესხები, მარტივად დაგეგმონ და განახორციელონ მათთვის სასურველი ბიზნესიდეა. როგორც სა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსმა სპეციალისტმა, ავთანდილ გოგალაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: -ასეთი ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი ფერმერისთვის და მეწარმისთვის, ამიტომაც, ჩვენი სამსახური აქტიურადაა ჩართული. დავდივართ გამოფენებზე, ტრენინგებზე, აგრეთვე, ჩვენთანაც ვმართავთ სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო შეხვედრებს და სისტემატურად ვაწვდით ინფორმაციას ფერმერებს მათთვის მნიშვნელოვან და საჭირო თემებზე. მსგავსი აქტიურობა მომავალშიც გაგრძელდება, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდება სოფლის მეურნეობით და საკუთარი საქმეც ექნებათ. სახელმწიფოს პრიორიტეტად წელსაც სოფლის მეურნება რჩება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა ჩვენთვის.

„თეთრი ხალათების“ სოლიდარობის აქცია - ხაშურში

რუსი ოკუპანტების მიერ, ახალგორში, პაციენტის სამკურნალოდ ჩასული ექიმის - ვაჟა გაფრინდაშვილის გატაცების ფაქტმა არა მხოლოდ საქართველო, არამედ ევროპის ქვეყნების მთელი თანამეგობრობა შეძრა. სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ელჩები თუ სახელმწიფოების პირველი პირები გმობენ ამ ფაქტს და მოუწოდებენ რუსეთს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ეს ღირსეული პიროვნება. ბუნებრივია, საქართველოს მთელი მოსახლეობა გვერდში უდგას გატაცებულს და პირველ რიგში, ეს მის კოლეგებზე – ექიმებზე ითქმის. სხვებთან ერთად, სოლიდარობის აქციას „ევექსის“ ჰოსპიტალების ქსელიც შეუერთდა, რომელთა შორისაც ხაშურის რეფერალური სავადმყოფოცაა. აქციაში კლინიკის ყველა თანამშრომელი იღებდა მონაწილეობას.

კახა ხელაძე - კლინიკის დირექტორი: – ძალიან სამწუხარო ფაქტია, ოკუპანტები უკვე ყოველგვარ საზღვარს გასცდნენ. ექიმებს ომშიც კი არ ესვრიან, ესენი კი არაფერს დაგიდევენ და ყოველგვარ საერთაშორისო შეთანხმებას არღვევენ. იმედია, ისინი, საბოლოოდ მოეგებიან გონს და ბატონ ვაჟას გაათავისუფლებენ.

ლია მათიაშვილი, ექიმი-პედიატრი: – მე, პირადად ვიცნობ ბატონ ვაჟას, ის არის უკეთილშობილესი პიროვნება და ძალიან მაღალი დონის სპეციალისტი. ექიმებისთვის, ომის დროსაც კი, საზღვარი არ არსებობს და ამ პრინციპს მთელს მსოფლიოში იცავენ. ამ შემთხვევაში კი სრულიად საპირისპირო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. დააპატიმრო პაციენტის საშველად მიმავალი ექიმი - უფლის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია, იმედია, რუსული მხარე, ბოლოს და ბოლოს, გაათვითცნობიერებს ამას და ეს ღირსეული პიროვნება დაუბრუნდება საყვარელ საქმეს და ოჯახს...

სოლიდარობის აქციაში, სხვა ექიმებთან ერთად „ევექსის“ ჰოსპიტალების ქსელის 3 ათასზე მეტი ექიმი და მედპერსონალი იღებდა მონაწილეობას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების - მეორადი სტრუქტურული ერთეულის 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

(2019 წლის იანვარი- ოქტომბერი)

მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება არის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ერთ-ერთი განყოფილება. განყოფილების ძირითადი მიზანია: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-17 მუხლებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებაში მერის წარმომადგენლების დახმარება და მათი საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფა.

განყოფილებაში დღეისათვის დასაქმებულია სულ 27 საჯარო მოსამსახურე, მათ შორის ოთხი – მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, 3 – მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, 18 – მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი და ერთი – შტატგარეშე მოსამსახურე. განყოფილებაში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებიდან 8 პირი დასაქმებულია ხაშურში - მერიაში შემოსული შესაბამისი კორესპონდენციის დამუშავებისათვის, დანარჩენი 19 საჯარო მოხელე კი, მერის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, მივლინებულია ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების დახმარების მიზნით.

განყოფილება ზემოთნახსენები მიზნის შესრულებისას ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს (საქმიანობებს) :

გამგებლის წარმომადგენელთა ინფორმირება/ მათთან კოორდინირებული ურთიერთობა სხვადასხვა საკითხების მოგვარებისათვის, მათ შორის:

1. მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადასტურება;
2. მოქალაქეთა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრებაში გადაცემის შესახებ არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტების მოძიება (დადგენილება, ოქმი, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა) ადმინისტრაციული ერთეულებსა და ხაშურის რეგიონული არქივიდან;
3. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების სტატუსზე მუშაობა (სტატუსის მინიჭებისათვის დოკუმენტაციის მომზადება, სტატუსის მონიტორინგი);
4. ხე – მცენარის ადგილწარმოშობის ცნობებზე მუშაობა;
5. მეწყერით დაზიანებულ სახლებზე ინფორმაციის მომზადება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადაგზავნა.
6. საშეშე მერქნის სიების დაზუსტება, შუამდგომლობები;
7. სამასალე მერქნის გამოყოფისათვის შუამდგომლობების მომზადება;
8. მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარეთა შესახებ ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოების და მოიჯარეებისათვის;
9. სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება ადმინისტრაციულ ერთეულების მიხედვით. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განხორციელებული და მიმდინარე პროექტების და ბენეფიციარების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება.;
10. მოქალაქეებიდან და სხვადასხვა უწყებებიდან განყოფილებაში მიღებული წერილების შესწავლა, შუალედური და საბოლოო პასუხების მომზადება.
11. მოქალაქეთა ცხოვრების ფაქტების დადასტურება.

ადმინისტრაციულ ერთეულებში განყოფილების თანამშრომლები ეხმარებიან მერის წარმომადგენლებს შემდეგი ფუნქციების შესრულებაში

1. მოსახლეობის ინფორმირება ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შესახებ და მათი კომუნიკაციის უზრუნველყოფა საკრებულოსთან და მერიასთან.;2.უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და საკადასტრო აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენა და შესაბამისი ოქმის შედგენა.;
3. პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურებისათვის ადგილზე შემოწმება და ადგილზე შემოწმების ოქმის შედგენა;
4. საქონლის ადგილწარმოშობის ცნობის გაცემისათვის, ადგილზე მოკვლევა, და ადგილზე დათვალიერების შესაბამისი ოქმის შევსება
5. ბავშვის დაბადების და პირის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება ადგილზე და შესაბამისი ოქმის შედგენა;.
6. მერის წარმომადგენლის დახმარება ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების შეფასებასა და მათი გადაჭრის გზების ძიებაში;
7. საკრებულოს წევრების, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლების მიერ მოსახლეობის წინაშე ანგარიშგების მიზნით მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების ორგანიზება;
8. მერის წარმომადგენლის დახმარება სხვადასხვა კორესპონდენციის დამუშავებაში, ადგილზე მოკვლევასა და პასუხის მომზადებაში;
9. მერის წარმომადგენლის დახმარება დასახლების საერთო კრების მოწვევის პროცესში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებაში 2019 წლის 1 იანვრიდან 31 ოქტომბრამდე სულ შემოსულია 2512 განცხადება და წერილი, აქედან, მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადასტურებისა და კომლის შემადგენლობისა და რიცხული ქონების შესახებ საჯარო რეესტრიდან – 1687 წერილი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სტიქიით დაზიანებული ოჯახების შესახებ, 3 წერილი, ადგილწარმოშობის ცნობის გაცემის შესახებ შემოსულია მოქალაქეთა 32 განცხადება (გაცემულია 28 ადგილწარმოშობის ცნობა, დანარჩენ შემთხვევებში უარი ითქვა ცნობის გაცემაზე). შემოსულია და გადაგზავნილია გუბერნიაში სამასალე მერქნის გამოყოფაზე შუამდგომლობის შესახებ 1 განცხადება, ავარიული ხის მოჭრისა და ხეების გადაბელვის შესახებ შემოსულია 49 განცხადება 18 შემთხვევაში მოქალაქეებს, შესწავლის შემდეგ, უარი ეთქვათ თხოვნაზე, სხვა შემთხვევებში, შესაბამისი დასკვნით, განცხადება გადაიგზავნა აიპ „ხაშურსერვისში“, ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ, სს „სოკარ-ჯორჯია გაზში“ წარდგენის მიზნით - 583 განცხადება, საშეშე მერქნის მიმღებთა სიაში მოქალაქის შეყვანის შესახებ – 23 განცხადება, მისამართების იდენტურობის დადგენის შესახებ – 43 განცხადება, სასოფლო სამეურნეო იჯარების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე – 6 განცხადება, სოფლის სტატუსის მინიჭების შესახებ –1 ინიციატივა, დასახლების საერთო კრების გამართვის შესახებ -1 განცხადება და 83 სხვადასხვა წერილი და განცხადება. (სულ განყოფილებაში დამუშავებულმა კორესპონდენციის მთლიანმა რაოდენობამ, შუალედური ჩათვლით, ამ პერიოდისათვის შეადგინა 10 023).

ჩატარდა მაღალმთიან დასახლებებში სტატუსის მართვის საბჭოს 12 სხდომა, სტატუსის მინიჭების თაობაზე განაცხადი შემოიტანა 56 მოქალაქემ, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი მიენიჭა 44 მოქალაქეს, მინიჭებაზე უარი ეთქვა - 12-ს, ხოლო სტატუსი შეუწყდა 43 მოქალაქეს, მათ შორის მონიტორინგის საფუძველზე სტატუსი შეუწყდა 10 მოქალაქეს. სტატუსის შესახებ მომზადდა 74 საინფორმაციო წერილი. მერის წარმომადგენლების მიერ, წლის დასაწყისში დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, მონიტორინგის მიზნით, გადამოწმებული იქნა 459 მოქალაქის სტატუსი. ამ დროისათვის აქტიური სტატუსი აქვს 1874 მოქალაქეს.

განყოფილების სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს მერის ინიციატივით მოწვეულ დასახლების 60 საერთო კრებისა და 11 კონსულტაციის მომზადებასა და ჩატარებაში.

ივანე ლოლაძე,
განყოფილების ხელმძღვანელი

– ფოლიერი –

"შავნაბადა" ხაშურში

19 ნოემბერს, ხაშურის სამუსიკო სკოლაში ანსამბლ „შავნაბადას“ კონცერტი გაიმართა.

რეპერტუარი ქართულ-ხალხურ სასიმღერო და ინსტრუმენტულ მუსიკას მოიცავდა.

შავნაბადასთან ერთად, ხაშურელი მსმენელის წინაშე წარსდგა ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფი, გოგი შუბითიძის ხელმძღვანელობით, შესრულდა ერთობლივი სიმღერებიც.

„შავნაბადას“ რეგიონებში მოგზაურობის მიზანი ქართული ტრადიციული სიმღერის ხელშეწყობა და პოპულარიზაციაა.

კონცერტის დასასრულს, „შავნაბადას“ წევრებმა მადლობა გადაუხადეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გურასპაშვილს და სამუსიკო სკოლას ხაშურში ხალხური სადამოს გამართვის ხელშეწყობისთვის.

აღსანიშნავია, რომ ანსამბლი „შავნაბადა“, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს მრავალ ქალაქში ქართული ტრადიციული სიმღერა-გალობის პოპულარიზაციას აქტიურად ეწევა.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #41,42,44,45)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

ღვთისმშობლის ეკლესიას, ჩანს, საკმაოდ დიდ ფართობზე გალავანი ჰქონდა შემოვლებული. მის სამხრეთით შემორჩენილია გალავნის კედლები, რომლის სიმაღლე 5-6 მეტრს შეადგენს. დასავლეთის მხარეს შეიმჩნევა საძირკველის კვალი, კარგად ჩანს გალავნის ნაშთები. ალბათ, ეს უნდა იყოს ვახუშტის მიერ მოხსენიებული ნაციხვარი. მას თითქმის 2 ჰე-ზე მეტი ფართობი უჭირავს. ამავე ტერიტორიაზე, ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შეიმჩნევა შენობების საძირკვლის ნაშთები. იქნებ აქ იყოს ამირეჯიბების რეზიდენცია? ჩრდილოეთის მხარეს კარგად ჩანს არათუ გალავნის ნაშთები, არამედ ნახევარწრიული გოდოლებიც.

ხალხში გავრცელებულია ლეგენდა, რომლის თანახმადაც, თემურ ლენგის შემოსევის დროს, ნაბახტევის ეკლესია მტერს დაუნგრევია და შემდეგში ვინმე ქუცნა ამირეჯიბს აღუდგენიაო. ქუცნას სახელს უკავშირებენ აგრეთვე ლეკიანობას. გადმოცემით, ლეკების ერთ-ერთი შემოსევის დროს, ქუცნა ამ ციხეში გამაგრებულა, ლეკებს ციხე აუღიათ, ქუცნა მოუკლავთ და მისი გვამი ეკლესიაში დაუგდიათ. ქუცნას მეუღლე ლამაზი ქალი ყოფილა, შეუპყრიათ და ტყვედ წაყვანა მოუნდომებიათ, მას ლეკებისთვის ქმრის ნეშტის ნახვის ნებართვა უთხოვია, შესულა ეკლესიაში და დანით მოუკლავს თავი. ორივე იქვე, ეკლესიაში დაუმარხავთ...

ნაბახტევის ნაციხვარის დანიშნულება ალის ციხესთან ერთად, ჭერათხევის, ამ ხეობაზე გამავალი გზების მეთვალყურეობა და დაცვა უნდა ყოფილიყო. ალბათ, ნაციხვარი მეთვალყურეობდა კლდისწყაროსა და ბრილის მხრიდან სურამისკენ მიმავალ გზებს. ეს გზები ცალ-ცალკე მიემართებიან სურამისკენ, ერთდებიან სოფელ ქემფერში და შემდეგ გადის სურამში. აღნიშნულ გზას აქ, გამოსასვლელშივე სურამის ცნობილი ციხე ხვდებოდა.

პროფ. ჯ. სტეფნაძე, ალის ციხეზე საუბრის დროს, ნაბახტევის „ნაციხვარსაც“ ეხება და მას ალის ფრონეს ხეობის სასიგნალე სისტემაში მიუჩენს ადგილს. იგი წერს:„გვინდა, ერთ პატარა მომენტზეც შევჩერდეთ. ალის ახლოს მდებარე სოფ. დუმაცხოვის ზემოთ, აღმოსავლეთით, სერზე, მდებარეობს პატარა ეკლესია, რომელსაც ხალხი „სამყვირალოს“ ეძახის.

ალის ციხე „სამყვირალოდან“ არ ჩანს, სამაგიეროდ ნაბახტევიდან და კერძოდ, იმ პუნქტიდან, რომელსაც ვახუშტი „ნაციხვარს“ უწოდებს, კარგად მოჩანს. „სამყვირალო“ და ნაბახტევის „ნაციხვარი“ „შიგ შუბლში“ უყურებენ ერთი-მეორეს. ხომ არ გვაქვს ადგილი ალის ფრონის ხეობის სასიგნალო სისტემასთან? ჩვენი აზრით, ასეთ მნიშვნელოვან ხეობაში ასეთი სისტემის არსებობა აუცილებელიც კია, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს საკითხი უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს. ალის ხეობის სასიგნალო ხაზი ასე წარმოიდგინება: დასავლეთ საქართველოს მხრიდან შემოსული მტერი ალის ციხეს მიუახლოვდებოდა თუ არა, ეს უკანასკნელი ნაბახტევს (შესაძლებელია, იმ „ნაციხვარს“) აფრთხილებდა, ნაბახტევი (იქნებ, „ნაციხვარი“) „სამყვირლოს“ საფრთხეს აუწყებდა და იგი კი, თავისი შესაფერისი ტერიტორიული მდებარეობის გამო, ახლო-მახლო მხარეებს საშიშროების მოახლოებას ატყობინებდა. ალბათ, ხდებოდა ხოლმე პირიქითაც. იქნებ, ამ სასიგნალო სისტემასთან კავშირში აიხსნება ესოდენ უცნაური ტოპონიმი „სამყვირლო“ და ამ ტოპონიმთან დაკავშირებული ხალხური გადმოცემები“.

სამყვირალოდან ხელისგულივით იშლება შიდა ქართლის ვაკე. აქედან კარგათ მოჩანს არა მარტო ახლო-მახლო მდებარე სოფლები, გზები და ა.შ., არამედ თვალთახედვის არეში ექცევა შორ მანძილზე მდებარე დასახლებული პუნქტებიც, კარგი მხედველობის დროს გორის სანახებიც კი ჩანს. ამ მხრივ აღგილ სამყვირალოს მართლაც სტრატეგიული მდებარეობა უჭირავს.

„ნაბახტევს ზეით ერთვის ალის-წყალს ბრილის-წყალი... ბრილის-წყლის შესართავს ზეით არს ალის-წყალზედ, დასავლით, კიდესა ზედა, ალი, ქალაქი მცირე....

ოდესღაც მცირე ქალაქი, დღეს სოფლად ქცეულა.

მის ჩრდილოეთით, ალის ფრონეს მარჯვენა ნაპირზე, შემაღლებულ ბორცვებზე, აღმართულია **ალის ციხე**. ბორცვი სამი მხრიდან ძნელად მისადგომია, დასავლეთით წაგრძელებულია და სერს ერწყმის. მხოლოდ ამ მხრიდან შეიძლება, შედარებით თავისუფლად, ციხესთან მოხვედრა.

„ალის ზეით არს, ლიხის მთის კალთას, ციხე ალისა“ - აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი.

მის აგებას ალის ქალაქად გადაქცევას უკავშირებენ და XI-XII საუკუნეებით ათარიღებენ.

ალის ციხის ადგილმდებარეობა მიგვანიშნებს, რომ მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის ცხოვრებაში. ციხე დარაჯობდა ქართლ-იმერეთის საზღვარს, გზას უღობავდა ქართლიდან იმერეთისკენ მიმავალ, თუ იმერეთიდან ქართლში შემოსულ მტერს. მისი „ძირითადი დანიშნულება ამ გზებზე ბატონობა, მისი გასაღების ხელთქონება იყო“. ეს გზა კი „...X-XI საუკუნეებში დიდმნიშვნელოვანი იყო საქართველოს ორი ნაწილის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ურთიერთობაში“ (20).

საქართველოს ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობის დროს, ალის ციხის ფუნქცია ქვეყნის ცხოვრებაში, მით უფრო, რომ იგი თითქმის ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა, უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო. მისი ფუნქცია უმეტესად მშვიდობიანი ცხოვრებით განისაზღვრებოდა. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, როცა იგი უკვე საზღვართან ახლოს აღმოჩნდა.

ციხე სამეფო კარისაგან მხარის ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალური გვარის - გაბელიძე - ამირეჯიბებისათვის უნდა ყოფილიყო გადაცემული, რასაც გვიდასტურებს ქართული წერილობითი წყაროები.

როგორც ჩანს, ისინი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ ციხეს. აქვე, ციხეში, უნდა ყოფილიყო განთავსებული ალის ცნობილი საბაჟოც, რომლის შესახებაც არაერთი ქართული წერილობითი წყარო ლაპარაკობს.

ალის ციხე წყაროებში შედარებით გვიან ჩნდება, რაც, რა თქმა უნდა, მის გვიან აშენებას არ უნდა ნიშნავდეს. იმ ადგილზე, სადაც იგი მდებარეობს, ადრე-ფეოდალურ ხანაშიც უნდა არსებულიყო ციხე-სიმაგრე. სავარაუდოდ, უფრო ადრეც. ამას სწორედ მისი სპეციფიკური ადგილმდებარეობა გვაფიქრებინებს. ალის ციხე სასაზღვრო ციხეა. იგი ალის ფრონეს ხეობაზე გამავალ ქართლისა და იმერეთის დამაკავშირებელ ერთ-ერთ გზას კეტავს. იმ დროს კი, როცა იბერია (აღმოსავლეთ საქართველო) და ეგრისი (დასავლეთ საქართველო) ცალცალკე სამეფოები იყო, ეს ხეობა, რა თქმა უნდა, აუცილებლად ციხით უნდა ყოფილიყო გამაგრებული. მით უფრო, რომ საქართველოს ამ ორ მხარეში სულ სხვადასხვა სახელმწიფოთა (ირანი, რომი, ბიზანტია, ოსმალეთი) გავლენა იყო.

ალის ციხეს დაახლოებით 1 ჰექტარი ფართობი უკავია. მისი კედლები სხვადასხვა მასალითაა ნაგები, გამოყენებულია, როგორც სხვადასხვა ჯიშის ქვა, ასევე აგურიც. კარგად ჩანს, რომ ციხე შემოსაზღვრული ყოფილა მაღალი გალავნით, რომლის დიდი ნაწილიც უკვე ჩამოშლილია. გალავნის ეზოში შეიმჩნევა სხვადასხვა ნაგებობის კვალი, შუაში წყალსაცავი აუზია, რომელშიც დიდი ქვევრები ყოფილა ჩაყრილი. ციხეში წყალი გამოყვანილი ყოფილა თიხის მილებით უწლევის მხრიდან.

გალავნის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში მოთავსებულია ციხის მთავარი ნაგებობა, დარჩენილია მისი კედლის ნაწილი, გეგმის დადგენა ძნელია. კარგად ეტყობა, რომ მას ჰქონია კედლებში დატანებული კოშკისებური სათავსოები მომრგვალებული ფორმისა. მათი კარები გამოდიოდა ციხის ეზოში. სათოფურები, ჩარდახები, ნიშები და სხვა არსად არ ეტყობა.

რადგან ციხეში მოხვედრა თავისუფლად მხოლოდ დასავლეთის მხრიდანაააშესაძლებელი, ცხადია ციხის ზემოთ აღნიშნული მთავარი ნაგებობა კარგად იქნებოდა დაცული. მიუხედავად მისი ძლიერდაზიანებისა, მაინც კარგად ჩანს, რომ ციხის ეს ნაწილი სათანადოდ ყოფილა გამაგრებული.

ციხეს გარე სამყაროსთან აკავშირებდა ვიწრო გვირაბი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია და სამხრეთისკენ მიემართება.

ბოლო პერიოდში, ციხის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩნდა ეკლესია. იგი ციხის ეზოში, მის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი დედაციხის (ციტადელის) სამხრეთის კედელზეა მიშენებული. ციტადელის კედელი ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადიდან, ჩრდილოეთის მხარეს გრძელდება. ეკლესია მიწით ყოფილა დაფარული და გადახურვის ჩანგრევის შემდეგ გამოჩენილა ნაგებობა, რომელიც ეკლესიად აღიქვეს მნახველებმა, რაც სავსებით მისაღებია. ყველა ციხეს თავისი კარის ეკლესია ჰქონდა და ამ მხრივ არც ალის ციხე უნდა ყოფილიყო გამონაკლისი.

იგი ნაგებია კლდის ქვით, რითაც ციხეა საერთოდ ნაგები. სწორკუთხა დარბაზულ ტიპისაა. აღმოსავლეთის მხარე მიწითაა დაფარული და ამიტომ საკურთხეველი არ ჩანს. კედლები სქელია, მყარად ნაგები.

გადახურვა ნახევარწრიულია. კედლები შელესილია, მხატვრობის კვალი საერთოდ არ ჩანს. შესასვლელი სამხრეთის მხრიდან უნდა იყოს.

ეკლესიის ზომებია 6.5 X 5, სიმაღლე 3.5 მ. დარბაზში ჩამონაშალი მიწაა ჩაყრილი.

ეს ახლადგამოჩენილი ნაგებობა მიგვანიშნებს, რომ საკმაოდ დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი ციხის ეზოს გასაწმენდად. საერთოდ, ალის ციხე მთლიანად შესასწავლია, რაც მომავლის საქმეა.

ეკლესია გვინფეოდალური ხანით უნდა დათარიღდეს

ალის ციხე საუკუნეების მანძილზე დარაჯობდა რა ქართლ-იმერეთის დამაკავშირებელ გზას, არაერთხელ მოქცეულა ბრძოლის ეპიცენტრში.

თემურ-ლენგი დასავლეთ საქართველოში ალის ხეობიდან გადადის, მან მიწასთან გაასწორა გზის გასწვრივ მდებარე ქალაქები თუ სოფლები, ეკლესია-მონასტრები თუ ციხე-სიმაგრეები. მათ შორის ალი და უნდა ვიფიქროთ მისი ციხეც, რადგან იგი უკეტავდა მომხდურს დასავლეთ საქართველოსკენ ალის ხეობით გადასასვლელ გზებს.

ალის ციხე ქართულ წყაროებში პირველად 1451 წელს გვხვდება. ამ წელს ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ბოლო მეფემ, გიორგი VIII-ემ (1446-1466 წწ.) ალი და ალის ციხე, ქართლისა და იმერეთის სხვა სოფლებთან ერთად, გაბელიძე-ამირეჯიბთა ცნობილ საგვარეულოს უწყალობა: „სახელითა ღმრთისაითა გიორგი მეფეთა მეფისაგან ... გაბელისძე ამირეჯიბი რამინ და მათ შვილნის ამირეჯიბი შანშე, ქუცნა, გიორგი და აბესალა ჩვენისა ბედნიერის სახლისაგან შეწყალებულობისა პიტავნი და სიგელნი ჩვენცა გაგვიახლა და დაგვემტკიცნეს. ვისმინეთ აჯა და მოხსენება მისი მიუბოძედ და ჩვენც ახლად დაუმტკიცეთ და მათისა მამულისა სიგელნი გავუახლეთ და შევიწყალეთ და დაუმტკიცეთ და დაუმკვიდრეთ რისაც მქონებელნი არიან. მიგვიბოძებია... ალი და ალის ციხე...

ალის ციხე მოგვიანებით, ხშირად გამხდარა სპარსი თუ თურქი დამპყრობლების ინტერესების ობიექტი.

1624 წელს გიორგი სააკაძემ სპარსელების ახალი თავდასხმის მოლოდინში, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გაამაგარა „...ციხენი კიკნათბერი, ალისა, სურამისა, კეხვისა“.

იოსებ სააკაძე „დიდმოურავიანში“ ამ ფაქტთან - ალის ციხის გამაგრებასთან დაკავშირებით, გიორგი სააკაძეს ათქმევინებს:

„ალ, სურამი გავამაგრე, არ არს ადვილ ასაღები.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან, განსაკუთრებით გაიზარდა ალის ციხის როლი ქვეყნის ცხოვრებაში. ეს ის პერიოდია, როცა ასპარეზზე გამოდიან ლეკები და მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენენ ქვეყნის განვითარებაზე. განსაკუთრებით მძიმე იყო ეს პერიოდი ალის ხეობისთვის ამ დროს ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში ალის ციხე ერთ-ერთი დასაყრდენია ზემო ქართლში.

ალის რეგიონისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო XVIII საუკუნის 50-იანი წლები, რამაც ასახვა ჰპოვა არა მარტო ისტორიულ წყაროებში, არამედ ხალხის მეხსიერებაშიც.

ერთ-ერთი ხალხური გადმოცემის მიხედვით, ალს ლეკები შესევიან, ხალხი ციხეში შეხიზნულა და გამაგრებულა. ლეკებს ციხისთვის ალყა შემოურტყამთ და უფიქრიათ, ციხეში შეხიზნულებს წყალი გამოელევათ და დაგვნებდებიანო. მეციხოვნეებს ციხის აუზში ცოცხალი თევზები ჰყოლიათ და როცა გაჭირვებიათ, მეციხოვნეებს ციხიდან გადმოუყრიათ ცოცხალი თევზები. ლეკებს უფიქრიათ, ამათ წყლის იმდენი მარაგი ჰქონიათ, რომ ცოცხალი თევზებიც ჰყოლიათო. ციხისთვის ალყა მოუხსნიათ და წასულან. გზაში დაუჭერიათ ერთი კაცი (მახვილაძე) და უთქვამთ, ციხე აგვაღებინე და, რასაც მოითხოვ მოგცემთო. იგი დათანხმებულა და ლეკები წაუყვანია მთის ბილიკით, რომელიც ციხეს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან უვლიდა. ამ ბილიკს დღესაც „ლეკის გზას“ უწოდებენ.

ლეკების წასვლის შემდეგ ციხიდან მამაკაცები გამოსულან, შიგნით დაუტოვებიათ მხოლოდ ქალები და ბავშვები.

ლეკებს ციხეში გალავნის კარებიდან უცდიათ შეპარვა, მაგრამ კარებში ქალები ჩამდგარან და დიდი ბრძოლა გაუმართავთ მათთან. ერთს, ათი ვაჟის დედას, ლეკები ისე აუკაფავს, რომ მათგან ნადენი სისხლი ღვარივით გადმოდიოდა და ფრონეს წყალი წითლად შეუღებავს. ბოლოს, დიდი ბრძოლის შემდეგ, ლეკებს ეს ქალი მოუკლავთ, ციხეც აუღიათ და შიგ შეხიზნულებიც დაუხოცავთ.

ლეგენდებს სინამდვილე უდევთ საფუძვლად, მასში ისტორიული სინამდვილეა არეკლილი. ხშირად სად მთავრდება სინამდვილე და სად იწყება ლეგენდა, გარჩევა შეუძლებელი ხდება. ასეა ამ შემთხვევაშიც, ლეგენდაში არეკლილი უნდა იყოს თეიმურაზ ბატონიშვილის „ახალი ისტორიაში“ დაცული ერთი ცნობა, რომელშიც საუბარია 1758 წელს ლეკების მიერ ზემო ქართლის დარბევაზე. კერძოდ, სოფელ ზღუდერთან ქართველთა და ლეკთა „მცირედი კინკლაობის“ შემდეგ, უკან გამობრუნებულმა ლეკებმა აიღეს და სასტიკად ააოხრეს ალის ციხე.

ამავე ფაქტზე საუბრობენ ი. ხელაშვილი, ი. ბაგრატიონი და სხვები.

თეიმურაზ ბატონიშვილი მოგვითხრობს: „ჟამსა ამას განავრცეს ლეკთა

(გაგრძელება IV გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება)

ხდომვაი და გამოხდა ჩონჩოლ-მუსა, მაშინ ორინივე მეფენი (თეიმურაზი და ერეკლე - თ.ლ.) იყვნენ კრცხინვალს. მოვიდნენ ლეკნი ზღუდერს, ხოლო მეფეთა ვერა თავს იდეს პირისპირ გამოსვლაი, ვინაიდგან არა ჰყავთ მხედრობაი მუნ. იქმნა მცირედი კინკლაობა. გატრიალდნენ მუნით ლეკნი, მივიდნენ და აღიღეს ალი.

ალის ციხესთან დატრიალებულმა მოვლენებმა ასახვა ჰპოვა იონა ხელაშვილის „მოსახსენებელ წიგნშიც“: „მოიხსენე უფალო ალის ციხისა მიმშველებელნი - მეფე ერეკლე და დიდი მეფე სოლომონ, რომელთა აოტეს ოსმალნი და ლეკნი და აცხონეს შიდა ქართლი ალის ციხისა განრინებითა“.

როგორც ვხედავთ, იონა ხელაშვილის ცნობით, ალის ციხესთან ლეკებთან ერთად ოსმალებიც ყოფილან.

ამავე ფაქტს განსაკუთრებული სიმძაფრით გადმოგვცემს იესე ბარათაშვილი „ცხოვრება-ანდერძში“. იესეს მიხედვით, ლეკები ზემო ქართლში 1758 წლის აგვისტოში უნდა შემოსულიყვნენ, რადგან მას14 აგისტოს გარდაეცვალა მამა და ალის ციხესთან დატრიალებული ამბები მანამდე მომხდარა.

„ქრისტეს აქეთ, - წერს იესე ბარათაშვილი, - 1758 წელს მამაჩემი დასნეულდა და აგვისტოს 14 მიიცვალა წლისა სამეოცისა. მეფე თეიმურაზ და დედოფალი ანახანუმ სამაჩაბლოს ბრძანდებოდნენ. მე მამის ჩემის სნეულებისათვის აქ დავრჩი, მერმე რომ შედონდა, ზაქარია ვართაპეტი ბატონებს ახლდა, სხვას ექიმს ვეღარავის ენდო, გამგზავნა ზაქარია ვართაპეტთან წამლებისათვის. თურმე ლეკის ჯარი უკან მომდევს, მე მუხრანს მუხებს ქვეშ ჩამოვვედ მარტო, ცხენები ბიჭის ხელით გავგზავნე. ლეკი ქსანზე იდგა; მე რომ მიველ, მეორე დღეს სამი ათასი ლეკი მოუხდა ზემო ქართლს, ქცხილვანს, ბატონებს ჯარი არ ახლდათ, ვერ შეებნენ... ბელადმა თქვა:

-გავეცალნეთ, დიდნი კაცნი უჯაროდ არიან, ნამუსი არ არისო. ალის ციხე აიღეს, მრავალი ტყვე წაიყვანეს, ცეცხლი შეუკიდეს და ისე დაწვეს, რაც მოჩა და მრავალი თავადთა და აზნაურთა ხალხნი დახოცეს და წარიტაცეს.გზები აირია, ვეღარ წამოველ და სანამდის მე ჩამოვიდოდი, მიცვლილიყო“.

ისტორიკოსი ომარ ხერხეულიძე ზემოთ აღნიშნულ ფაქტს 1757 წლით ათარიღებს, თუმცა მოვლენებს ისევე აღწერს როგორც სხვა ავტორები: „წელსა 1757..., მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი ზემოქართლს ბრძანდებოდნენ და წვრილს ლეკის ჯარებს სდევნიდნენ, ორგან-სამგან დაამარცხეს, მივიდნენ ქრცხინვალს სუბუქად, თავის ამალით, დაჰსდგნენ და სხვა დაბარებული ჯარები არა ჰყავთ. ამჟამად დაღისტნის ბელადი ჩონჩოლ-მუსა ჰტარისა და იტინა მოვიდნენ ქრცხინვალს დაღისტნის ჯარით ვიდრე ოთხიათასამდე და პირისპირ სროლა უწყეს და ვინათგან არა ჰყავთ ჯარები მეფეთა, ამისთვის ვერ იკადრეს რაზმით ომი მინდორთა ზედა და ამის გამო სიმაგრით ბრძოლა უყვეს ძლიერად, რომელ მასვე დამესა აიყარა დაღისტნის ჯარი, წარვიდნენ და ალის ციხე აღიღეს და მრავალნი სულნი ტყვე-ჰყვეს“ .

ლეკების მიერ ალის ციხის აღებამ და აოხრებამ ძლიერ უარყოფითი შედეგი გამოიღო ალის ხეობისათვის, ალის რეგიონის მთელი რიგი სოფლები დაიცალა მოსახლეობა იძულებული გახდა აყრილიყო და შედარებით მშვიდობიან ადგილებში გახიზნულიყო. ამ ფაქტზე მუთითებს სვიმონ ამირეჯიბის მიერ ყმის თაობაზე 1766 წლის 30 მარტს ერეკლე II-სადმი მიცემული არზა. იგი წერს, რომ ალის „წახდენის“ შემდეგ ყმის შენახვაც კი, რომელიც ალისგან მოშორებით, წაღვლში ესახლა, ვეღარ შეძლო და იძულებული გახდა დაეთხოვა: „სანამ ალი წახდებოდა, წაღვლს მესახლა. ალი რომ წახდა, ის ბიჭი მსახურად მახლდა. ალის ციხეში რომ დავიღუპე, მე ვეღარ შევინახე, დავითხოვე...“.

უფრო მეტიც, ზოგიერთი სოფელი მთლიანად მოიშალა და გაუკაცრიელდა და მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი მისი ხელმეორედ დასახლება. ერთ-ერთი ასეთი სოფელი იყო ულუმბა.

ალის ფრონეს ხეობის საფორტიპიკაციო ნაგებობებიდან ცალკე უნდა გამოვყოთ **ბრილის ციხე**, რომელიც ხეობიდან საფორტიფიკაციო ნაგებობებს საკმაოდ დაშორებულია და საერთო კონტექსტიდან, შეიძლება ითქვას, „ამოვარდნილია“.

ციხე, სოფელ ბრილის ჩრდილოეთით, 1.5 კილომეტრში ტყეში, დიდწიფლისა და ნამყენების წყალგამყოფ სერზე, პატარა გორაკზე მდებარეობს. იგი უფრო ციხე-ეკლესიას წარმოადგენდა, ვიდრე თავდაცვით ნაგებობას, თუმცა ამ მხრივაც ხდებოდა, ალბათ, მისი გამოყენება. ამის საჭიროება ალბათ უფრო მოგვიანებით, XVIII საუკუნეში, ამ მხარეში ხშირი ლეკიანობის დროს იქნებოდა აუცილებელი. აქ დადასტურებულია ტოპონიმი „ლეკის გზა“, რომელიც ალის ციხისკენ მიემართება. გადმოცემით მარბიელი ლეკები სწორედ ამ გზით სარგებლობდნენ თავდასხმების დროს. აქედანვე შეიძლება მოხვდე ლიხის ქედით საჩხერის რაიონის სოფლებში (ლიჩი, ღოდორა...). თუმცა, ციხე ნამდვილად არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იგი ამ გზას დარაჯობდა. ამიტომ იგი უფრო ადგილობრივი მნიშვნელობისა უნდა ყოფლიყო.

ციხის გარშემო შეიმჩნევა ნაგებობების არაერთი კვალი, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ თავდაპირველად სოფელი ბრილი მის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო გაშენებული და შემდეგ მოხდა მისი გადმონაცვლება უფრო სამხრეთით.

ციხე მცირე მოცულობისაა, მისი ფართობი 80-100 კვადრატული მეტრს უნდა შეადგენდეს. ძლიერ დაზიანებულია. მისი კედლები შედარებით კარგადაა შემონახული მხოლოდ დასავლეთის და ნაწილობრივ აღმოსავლეთის მხარე. ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლები ნანგრევების სახით არის წარმოდგენილი. დასავლეთის მხარეს კარგად არის შემონახული მრგვალი ბურჯი, აქვე ბურჯთან ახლოს არის ციხეში შესასვლელი გზა.

ციხე ნაგებია ქვიტკირისგან. ეზოში რამდენიმე ნაგებობაა. ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს მცირე ზომის (4,4 X3,2) ერთნავიანი ეკლესია, რომელიც ღვთისმშობლის სახელზეა აგებული. ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში არის ოთახი (5,3X3,4). მას კარი სამხრეთით აქვს. დგას მარტო კედლები. მის ცენტრში, ოთახის გაწმენდის შემდეგ, გამოჩნდა ერთი კარგად შენახული ქვევრი. სხვა მხრივ ოთახი არანაირ ყურადღებას არ იქცევს. შესაძლებელია იგი ორსართულიანი ნაგებობა იყოს, რომლის პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებოდა, ხოლო მეორე სართული შესაძლებელია საცხოვრებელი ყოფილიყო.

ამ ოთახის სამხრეთით არის კიდევ ერთი გაურკვეველი შენობის ნანგრევები.

ციხეზე მოხვედრა შესაძლებელია სამი მხრიდან (სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის), ხოლო აღმოსავლეთიდან მიუდგომელია. აქ კედელი 8 მეტრზე მეტი სიმაღლისაა და ბორცვის პირზეა ამოყვანილი.

ყურადღებას იპყრობს ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც სტილისტური ნიშნებით IX-X საუკუნეებით თარიღდება. იგი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს და ციხის კედლებზეა მიშენებული. აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის კედლები საერთოა ციხისა და ეკლესიისათვის-გარედან ციხისაა, ხოლო შიგნიდან – ეკლესიის.

ეკლესიამ ძლიერ დაზიანებულმა მოაღწია ჩვენ დრომდე: ჩამოშლილი იყო კამარა, კონქის და ჩრდილოეთის კედლის ნაწილი, სამხრეთის კედელი აფსიდის მხართან. ამოცვენილი იყო საპირე ქვების დიდი ნაწილი.

ეკლესიის რესტავრაცია განხორციელდა უკანასკნელ პერიოდში (XXI საუკუნის 10-იან წლებში).

ეკლესია ერთნავიანი დარბაზული ნაგებობაა. ნაგებია კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებისგან (გარდა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების გარეთა პირისა). ე.ი. თლილი ქვა გარედან მხოლოდ სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლებშია გამოყენებული. ინტერიერი კი მთლიანად თლილი ქვისაა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჰორიზონტალურად ნაკერების (ქვის წყობის) სწორხაზოვნება მკაცრადაა დაცული.

რესტავრაციის შემდეგ კარგად გამოირჩევა ორი სამშენებლო ფენა: ძველი - მოყვითალო ქვა და ახალი - ნაცრისფერი.

ეკლესიის შესასვლელთან 1984 წელს აღმოჩენილ იქნა ქვიშაქვის ფრაგმენტი ასომთავრული წარწერით, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით IX-X სს-ით თარიღდება. ეს ფრაგმენტი ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ალის ხეობისაკენ მიმავალ ერთ-ერთ გზაზე: - აბისი - წაღვლი - ბობოკინი - ჭერათხევი, მდებარეობდა აბისის ცნობილი ციხე, წაღვლის ციხე-დარბაზი, ამ გზას ჭერათხევში ჰკეტავდა ალის ციხე.

წაღვლის ციხე-დარბაზი მდებარეობს სოფლის დასავლეთით 1,5 კილომეტრზე, მდინარე წაღვლულას მარჯვენა ნაპირზე, ადგილ გალავნებში, ნასოფლარ წაღვლისთავის ტერიტორიაზე. თარიღდება ფეოდალური ხანით. ისტორიული წყაროების მიხედვით, დავით აღმაშენებელს წაღვლისთავში ჰქონია ციხე-ედარბაზი, ე.წ. მცირე სასახლე: „და იყო მაშინ საზღვარი მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფო წაღულის თავი“. ციხე-დარბაზი 1910 წელს ძლიერ ყოფილა დაზიანებული და დანგრეული. 1930-იან წლებში მოსახლეობას ციხის შემორჩენილი კედლები დაუშლიათ და ქვა საშენ მასალად გამოუყენებიათ. ამჟამად შემორჩენილია სამხრეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლების საძირკვლის ნაშთი. ციხე დარბაზი გეგმით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებული სწორკუთხა ნაგებობაა (40X30 მ.), რომელსაც ოთხივე კუთხეში ცილინდრული კოშკები ჰქონდა. შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კოშკების კვალი.

ციხე-დარბაზს შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია. წყლით მარაგდებოდა იქვე, ხევს გადაღმა წყაროდან. წყალი შეყვანილი ყოფილა თიხის მილებით.

პროფ. ს. მაკალათია წაღვლის ციხე-გალავანს XI-XII საუკუნეებით ათარიღებს. სერგი მაკალათია იმოწმებს ხალხში გავრცელებულ ამბავს იმის შესახებ, რომ „წაღვლი ციხე-ქალაქი ყოფილა და დავით მეფეს აუშენებიაო. მეფეც წაღვლის ხშირი სტუმარი ყოფილა. დავითი გადმოდიოდა ჯარით ქუთაისიდან ჭიათურ-საჩხერის გზით ჯვარზე (იმერეთ-ქართლის საზღვარია) წაღვლში და აქვე ბანაკდებოდა თავისი ლაშქრით. ჯარს მეფე აქ აჯირითებდა (ავარჯიშებდა) ჩორჩან-ბროლოსანში, სადაც დავაკებული ველია, შემდეგ ჯარი მეფეს მიჰყავდა რუის-ურბნისის მიმართულებით თბილისის გასათავისუფლებლად თურქებისგანო“.

გადმოცემით, ჯირითის (ვარჯიშის) შემდეგ მეფე თურმე იქვე, ბექზე გაშლილ მუხნარში ისვენებდა. მუხნარის მცირე ნაწილი ახლაცაა დარჩენილი, სადაც წმ. ელიას სახელობის ეკლესიის ნანგრევებია.

გადმოცემით, მურყნისწყაროდან ჩორჩანისაკენ მიმავალ გზაზე, ადგილ ქანდარებთან სიახლოვეს, მდგარა კოშკი, რომელსაც მოსახლეობა **ჩორჩანის კოშკად** მოიხსენიებენ. ეს ადგილი „წაღულის თავის“ დასავლეთითაა. აქ შეიმჩნევა ნამოსახლარები. ნათესებიდან გზის გასწვრივ გამოტანილია უამრავი ქვიშა-ქვა. აქ უნდა ყოფილიყო სოფელი ბობოკინი, რომრლიც თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ აღარ ჩანს.

დასავლეთ საქართველოში ქართლიდან ერთ-ერთი მთავარი გადასასვლელი გზები სურამით ისევ ლიხის ქედზე გადადის.

სურამის გადასასვლელებისაკენ მიმავალი გზა დაღალულადან მდ. სურამულას (სურამის ფრონე) მიუყვებოდა. ეს გზა გაივლიდა სატივეს, ახალსოფელს, ოსიაურს, ხაშურს, შინდარას და შედიოდა სურამში. აქედან კი რიკოთისა და ფონას გადასასვლელებით გადავდიოდით დასავლეთ საქართველოში.

ეს გზა ცნობილი იყო შორეული წარსულიდან.

ამ გზაზე იდგა ზემოთ აღნიშნული **დაღალულას კოშკი, სატივისა და ოსიაურის ციხეები,ხაშურის კოშკი, სურამის ცნობილი ციხე და იტრიის კოშკი.**

გერმანელი მოგზაური ი. ა. გულდენშტედტი, რომელიც 1771-1772 წლებში იმყოფებოდა საქართველოში, თავის ნაშრომში რამდენჯერმე ასახელებს სოფელ სატივეს. ორჯერ აღნიშნავს, რომ სატივე ციხეა: „მოხისი და სატივე, ორივე ციხეებია“ მდ. სურამულას ხეობის აღწერის დროს, კვლავ ასახელებს სატივეს როგორც ციხეს - „ციხე სატივე“.

რას ემყარება ი. გულდენშტედტი, როცა სატივეს ციხედ მოიხსენიებს ჩვენთვის უცნობია, ვერც სხვა დოკუმენტებში ვერ მივაკვლიეთ შესაბამის ცნობას. არც სატივეშია რაიმე კვალი შემორჩენილი, თუნდაც ნანგრევების სახით, როგორც ეს არის მაგალითად ტეზერში, ზემო ჭალაში და სხვაგან.

ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერაში“ მოიხსენიებს ოსიაურს, დატანილი აქვს აგრეთვე რუკაზეც, იგი ამბობს, რომ „ოსიაურს ზეით, ხაშურს ერთვის სურამის წყალს ქემერტის წყალი აღმოსავლიდამ“ .

ოსიაური ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაზე მდებარეობდა. ეს გზა მდ. სურამულას სანაპიროს მიუყვებოდა და მისით სარგებლობდნენ როგორც ქართლიდან იმერეთში გადასასვლელად, ასევე პირიქით, იმერეთიდან ქართლში გადმოსასვლელად. ამ გზის ერთი მონაკვეთი ასე წარმოგვიდგენია: - რუისი - დირბი - ქვენატკოცა - მოხისი - დაღალულა(სომანეთი) - ხიდისყური - სატივე - ახალსოფელი - ოსიაური - ხაშური - შინდარა - სურამი. სურამიდან უკვე მოხვედრა შეიძლებოდა ლიხის ქედით დასავლეთ საქართველოში - იმერეთში, ხოლო მტკვრის ხეობით სამხრეთ საქართველოში. ამ გზის ერთ-ერთი პუნქტიდან - დირბი, გზა მიემართებოდა ცხინვალისაკენ. ამ გზაზე საუბრობს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი. ამგზებზე სხვა ცნობილ ციხეებთან (სურამის, მოხისის, სატივის(?), აბისის და სხვა) ერთად იგი ასახელებს ოსიაურის ციხესაც, რომლის ერთ-ერთი დანიშნულება ამ გზის მეთვალყურეობაც უნდა ყოფილიყო.

თამაზ ლაცაბიძე

გაგრძელება იქნება

"რომ შემეძლოს, ბედნიერებას გავაჩუქებდი“

ეს იმ, ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული, 13 წლის მომღერლის, ალექსანდრე ზაზარაშვილის სიტყვებია, რომელიც შემოდგომის ერთ მშვენიერ საღამოს, სურამის კულტურის ცენტრის სცენაზე იდგა და თავის განუმეორებელი ხმით აჯადოებდა მსმენელთ.

კონფერენსიე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი, მაკა დიდებულიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, მადლობა გადაუხადა მომღერალს ჩამობრძანებისთვის და გაგვაცნო მისი ბიოგრაფია. მასთან ერთად, სცენაზე იდგა სურამის II საჯარო სკოლის წარმატებული მოსწავლე მარიამ ლომიძე, რომელიც ჩართული იყო პროგრამის წარმართვაში.

ღონისძიებას ესწრებოდა სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსი, მეუფე სვიმეონი, რომელსაც მრევლის სახელით, მიულოცეს ეპარქიის ექვსი წლისთავი და შემდეგ სიტყვა გადასცეს მას, რომელმაც დალოცა მომღერალი და აღნიშნა, რომ მას ადრეული ბავშვობიდან იცნობდა, როგორც ყინწვისის ტაძრის სტიქაროსანს და იქვე დასძინა, რომ ბანას ფონდის სახელით შეეწეოდა ბეკმის საჯარო სკოლის მოსწავლეს გიორგი დოგაძეს ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით. მეუფემ სასიხარულო ცნობაც მოგვაწოდა საუკუნის პროექ-

ტის-ბანას მშენებლობასთან მიმართებაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი გიორგი გურასპაშვილი მიესალმა მომღერალს, წარმატებები უსურვა მას და, მუნიციპალიტეტის სახელით, მზაობა გამოხატა გიორგი დოგაძის, უცხოეთში მკურნალობის მიზნით, გასამგზავრებელი თანხების დაფარვაში.

ეს საქველმოქმედო საღამო არ შედგებოდა, რომ მანამდე, სურამის სამუსიკო სკოლის პედაგოგს, ქალბატონ ნათელა დავითიანს არ შემოეკრიბა ინტელექტუალური ქალბატონები და არ შეექმნა "სურამელ ქალქთა ერთობა", რომლის თავმჯდომარეც გახლავთ, თავად იდეის ავტორი. პირველ ღონისძიებაზეც ბევრი არ უფიქრია და დიდი ძალისხმევის შედეგად, უკვე მსოფლიო ტალანტად აღიარებული, უკრაინულ საბავშვო პროექტ "ვოისში" გამარჯვებული, მრავალი საერთაშორსო კონკურსის ლაურეატი, ალექსანდრე ზაზარაშვილი საქველმოქმედო საღამოს გამართვაზე დაითანხმა. აღინიშნა, რომ მომღერლის შემოქ-

მედებითი გზა "რანინაში" დაიწყო, შემდეგ იყო "ბრავო", "მზიანი საქართველო", "ოქროს მუზა" და "ოქროს ვარსკვლავი".

მონიტორზე ვიხილეთ მომღერლის გამოსვლები თბილისში "ნიჭიერის" კონკურსზე, უკრაინულ საბავშვო პროექტ "ვოისში", ნიუ-იორკში – „კარნეგი ჰოლში“, სადაც თავისი ინტერპრეტაციით შეასრულა მარიო ლანცას, ლუჩანო პავაროტის, რობერტინო ლორეტისა და სხვა ცნობილი შემსრულებლების სიმღერები. ყველგან, სადაც ალექსანდრემ იმღერა, აღფრთოვანებული მაყურებელი თუ მსმენელი ოვაციებით აჯილდოებდა მას. ალექსანდრემ გვიამბო, როგორი ამაღელვებელი იყო ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრა, მათთვის უმღერია "ლალე", რომელიც სურამის სცენაზეც შეასრულა (კონცერტმეისტერი-გორის მუსიკალური სკოლის დირექტორი სოფიო მირუაშვილი).

მან სიყვარულით გაიხსენა მუსიკის მასწავლებელი ნანა სამხარაძე. სცენაზევე გაცხადდა, რომ ალექსანდრე ზაზარაშვილი მსოფლიო საბავშვო ტალანტების კონკურსს გახსნის ამერიკაში.

წარმატებულ თანატოლს მიესალმენ გიორგი დოგაძე და გიორგი ღვალაძე – სურამის IV საჯარო სკოლის მოსწავლე, რომელმაც მხატვრულად წაიკითხა ტარიელ ხარხელაურის ლექსი "ვერკვლის ციხე" და საჩუქარიც გადასცა მომღერალს. სიტყვებში გამოსულები: სურამის IV საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე ლელა კორკოტაძე, სურამის II საჯარო სკოლის დირექტორი დალი ბროლიძე, ამავე სკოლის დამსახურებული მასწავლებელი მერი ტეფნაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ირინე გელაშვილი მიეფერენ და ამაღლებული ეპითეტებით შეამკეს პატარა მომღერალი, ქველმოქმედი ბიჭუნა და აღნიშნეს, რომ იგი კიდევ ბევრ ვარსკვლავს მოწყვეტს ციდან...

მან არაერთი სიმღერა შეასრულა ჩვეული ექსპრესიით და აღტაცებაში მოიყვანა მისი თაყვანისმცემელი, მაგრამ განსაკუთრებულად იმღერა მისთვის დაწერილი "რომ შემეძლოს" (კომპოზიტორი - მაია კაჭკაჭიშვილი).

მომღერალს სურამის II საჯარო სკოლამ გადასცა უკვდავი "ვეფხისტყაოსანი".

დასასრულს, "სურამელ ქალთა ერთობის" სახელით, ნათელა დავითიანმა მადლობა გადაუხადა ძვირფასს სტუმარს და სამახსოვრო საჩუქარი და ყვავილები გადასცა მას.

არ გვეთმობოდა ციური ხმებით სავსე დარბაზი...

მომღერალმა ნამდვილად შეძლო ბედნიერებით არა მარტო ჩვენი, არამედ მისი თანატოლის – გიორგი დოგაძის დასაჩუქრებაც.

მაყვალა ხაჩიძე

- სამბო -

ორი ჩემპიონი და ორიც ვერცხლის მედალოსანი ქუთაისის ტურნირზე

17 ნოემბერს, ქუთაისში, გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, გივი სარდანაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში ჭაბუკთა შორის. აღნიშნულ ტურნირზე მონაწილეობა მიიღო ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის სამბისტთა გუნდმა, რომელსაც ბუხუტი ბუხრიკიძე და მურად მახარაშვილი წვრთნიან. ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზეს ლუკა ხარატიშვილმა (48კგ) და პაატა ტაბატაძემ (75კგ), რომლებიც ჩემპიონები გახდნენ. ვერცხლის მედლები მოიპოვეს თემურ სულაბერიძემ (45 კგ) და თამაზ მჭედლიძემ (87კგ).

როგორც მწვრთნელებმა აღნიშნეს, ამ სპორტსმენებისგან მომავალშიც დიდ წარმატებებს ელიან და იმედია, ასეც იქნება.

ძალოსანთა წარმატება

ამ დღეებში, საჩხერეში, ძალოსნობაში, საქართველოს ჩემპიონატში, 15 წლამდელთა შორის, თავი ისახელეს ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის წარმომადგენლებმა. 81 კგ. წონით კატეგორიაში ხაშურელმა გიორგი ქვრივიშვილმა, ატაცში-88 კგ. აკვრაში-109 კგ დაძლია და 197 კილოგრამით ჩემპიონობა მოიპოვა. 89 კგ. წონით კატეგორიაში კი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა ვახტანგ გასიშვილი. მისი შედეგები ასეთია: ატაცი-75 კგ. აკვრა-92 კგ(ჯამი 107 კგ). ძალოსნობის მწვრთნელები ზაურ ღონღაძე და ავთანდილ ხარაზიშვილი მართლაც შესანიშნავი სპეციალისტები არიან და იმედია, მომავალში მათი აღზრდილები კიდევ ბევრჯერ ისახელებენ თავს.

მხატვარი, რომელიც ბავშვებს ყოველდღიურობას ულამაზებს

ადამიანის პიროვნული და მოქალაქეობრივი ჩამოყალიბება ბავშვობის ასაკიდან იწყება. მისი პირველი შეხება სოციუმთან, როდესაც შემეცნებას და აქტიურ ურთიერთობებს იწყებს, საბავშვო ბაღია. საბავშვო გარემო, ლაღი და ემოციებით დატვირთული-ყველა ბავშვისთვის აუცილებელია.

ჩემი რესპონდენტი, მიუხედავად მისი მცირე სამხატვრო გამოცდილებისა, ის ადამიანია, ვინც ყოველდღიურად უფერადებს ბავშვებს სასწავლო გარემოს. ჩვენი მუნიციპალიტეტი რომ საბავშვო ბაღების



აშენება-კეთილმოწყობით ერთ-ერთი მოწინავეა, ამაში მოკრძალებული წვლილი ეკატერინე კაპანაძესაც მიუძღვის. წუნა და წრუწუნა, დისნეის მულტფილმის, ზღაპრის გმირები, რომლებიც ბევრი საბავშვო ბაღის კედლებს ამშვენებს, სწორედ მას ეკუთვნის. ყველაფერი კი შემთხვევით დაიწყო. მხატვრობაზე მეოცნებეს, მისთვის მოულოდნელად მიეცა შესაძლებლობა, ბავშვებისთვის ფერადი გარემო შეექმნა, დაკისრებული რთული მისია, მისთვის სასიამოვნო პროცესი აღმოჩნდა:

- ეკა, გამოგიტყდები, როდესაც გავიგე, რომ ეს ნახატები, საბავშვო ბაღის აღსაზრდელის მშობელს ეკუთვნოდა, სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი. მანამდე თუ გჭონდა გამოცდილება?

—ბავშვობიდან ძალიან მიყვარს ხატვა. სკოლაში ვხატავდი, გა-

მოფენებშიც ვიღებდი მონაწილეობას. სწავლის გაგრძელებას ვაპირებდი სამხატვრო აკადემიაში, მისაღები გამოცდებიც ჩავაბარე, თუმცა, მშობლებს არ მოეწონათ ჩემი არჩევანი, და სამწუხაროდ, სწავლა ვერ გავაგრძელე. ცოტა ხნის შემდეგ, დავოჯახდი და ფაქტობრივად, ვეღარც ვახერხებდი ხატვას.

- როგორ მოხდა, რომ ასეთი საპასუხისმგებლო საქმე განდეს?

—შვილები დამყავდა სურამის საბავშვო ბაღში, მასწავლებელმა მარტივი საახალწლო ფიგურების დამზადება მთხოვა, როგორც ჩანს, კარგად გავართვი თავი და შემომთავაზა სხვადასხვა ვარიანტებიც, მომიტანეს საღებავები და სურამის საბავშვო ბაღისთვის გავაკეთე ნახატები და კედლებიც მოვხატე. იმდენად მოეწონა საბავშვო ბაღების გაერთიანების მაშინდელ დირექტორს, შემომთავაზა, სხვა ბაღებშიც მომეხატა კედლები-ხელშეკრულებაც გავაფორმეთ და ამჟამად, ხაშურის რამდენიმე საბავშვო ბაღში ჩემი ნახატებია. ეს იყო ყველაზე სასიამოვნო დღეები ჩემს ცხოვრებაში.

- რამდენი ბაღისთვის დახატე ნახატები?

—ზუსტად არ მახსოვს, რადგან, ძირითადად, სურათებს ვხატავდი მოთხოვნის შესაბამისად, მოხატვით კი მხოლოდ სურამის ბაღის კედლები მოვხატე.

- ახლა რა ეტაპზე ხართ?

—ამჟამად, შეკვეთები აღარ მაქვს და ჩემთვის, სახლში სულ ვხატავ, ვმუშაობ სხვადასხვა ტექნიკით, სხვადასხვა მასალით, თუმცა, პროფესიული განათლება ჯერ არ მიმიღია, ესაა საქმე, რომლის კეთებაც ყველაზე მეტად მიყვარს, სიამოვნებას მანიჭებს და საკუთარ თავს ვპოულობ.

- შეფასებები როგორია თქვენი ნახატების?



—ბავშვებს ფერადი, მათთვის ნაცნობი მულტფილმების და ზღაპრების გმირების ხილვა საბავშვო ბაღში, ძალიან მოწონთ, არც მშობლები რჩებიან გულგრილი, რაც ძალიან მახარებს და სტიმულს მაძლევს. ბევრმა მირჩია, სამხატვრო წრე გავაკეთო, მაგრამ, მგონია, რომ ამ ეტაპზე ამისთვის არ ვარ მზად. თუმცა სურვილი ნამდვილად მაქვს.

ეს მცირე ინტერვიუ, ბოლომდე ვერ ასახავს იმ ამბავს, ემოციას, რომელიც საბავშვო ბაღებში სტუმრობისას შეიძლება გამოიწვიოს ჩვენი ბავშვობის, ახალი თაობის საყვარელი გმირების ფერადმა გაცოცხლებამ. წარმატებებს ვუსურვებთ ეკას და იმედი გვაქვს, კვლავ მიეცემა საშუალება მსგავსი ემოციები, თავისი ნახატებით, სხვა ბავშვებსაც გაუზიაროს.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.